ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N#86

ქ. ყვარელი

25.05.2017წ

ხელშეკრულების დამდები მხარეები ერთის მხრივ ყვარლის მუნიციპალიტეტი „შემსყიდველი“ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ილია მზექალაშვილი სახით და მეორეს მხრივ “მიმწოდებელი” შ.პ.ს. „სერპანტინი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ფეიქრიშვილს შორის.

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

შემსყიდველმა გამოაცხადა ელ. ტენდერი აუქციონის გარეშე ქ. ყვარელში დემეტრე თავდადებულის ქუჩის მოასფალტების სამუშაოების (დანართი N2) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით (განცხადების **NAT170003474** , **CVP45200000**) და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა როგორც გამარჯვებულმა კომპანიამ, აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაო **207`692.00** (ორას შვისი ათას ექვსას ოთხმოცდათორმეტი) ლარად ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა .

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1.სამუშაოს მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. მიწოდებული სამუშაოს - ხელშეკრულების დანართებთან (ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა), ტექნიკური დავალება) შესაბამისობის დადგენა, შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა, ფარული სამუშაოების კონტროლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოების ან მისი ნაწილის მოცულობისა და ღირებულების დადგენა, მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

2.3.ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი და/ან მოწვეული ექსპერტი სპეციალისტი

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება, შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა, სამუშაოს მიწოდების პირობები და ვადები, შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადები და პირობები განსაზღვრულია დანართებით, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2 შესრულებულ სამუშაოებზე ობიექტის ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში ობიექტზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან გარანტიის ვადა შეადგენს არანაკლებ 5 წლისა.

3.3 ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია ობიექტის მიღება-ჩაბარებიდან 5 წლის განმავლობაში აღმოჩენილი ყველა ხარვეზი, რომელიც არ იქნება ,,შემსყიდველის“ ბრალეულობით გამოწვეული, აღმოფხვრას საკუთარი ხარჯით.

4.ქვეკონტრაქტორები

4.1 ქვეკონტრაქტორები არ გამოიყენება

5. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

5.1. სამუშაოს მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად და დასაშვებია განხორციელდეს არაუმეტეს 2 ეტაპად.

5.2. მიღება-ჩაბარების გაფორმების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს მოცულობები და ღირებულებები.

5.3. ხელშეკრულების 2.3. პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ი შესრულებული სამუშაოს ხელშეკრულების დანართებთან (ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა),ტექნიკური დავალება, მიწოდების ვადები) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ახორციელებს შესრულებული სამუშაოს შემოწმებას, განიხილავს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტს, ადგენს შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის ინსპექტირების აქტს.

5.4. იმ შემთხვევაში ,თუ შესრულებული სამუშაო შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს, ხელშეკრულების 2.3. პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ი ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს და ახორციელებს შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ შესრულებული სამუშაო და/ან მოცულობა არაობიექტური მიზეზის გამო არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს სამუშაო ან მისი ნაწილი.

5.5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე განსაზღვრული პირ(ებ)ი შესრულებული სამუშაოს ხელშეკრულების დანართებთან (ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა, ტექნიკური დავალება, მიწოდების ვადები) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ახორციელებს შესრულებული სამუშაოს შემოწმებას, განიხილავს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტს და ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, ადგენს შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის ინსპექტირების აქტს.

5.6 სამუშაოთა საბოლოო მიღება .

5.6.1. მიწოდებული სამუშაოს საბოლოო მიღება ხორციელდება კომისიური წესით, რომლის ფორმირების ფორმასა და წევრებს განსაზღვრავს შემსყიდველი.

5.6.2. სამუშაოთა დასრულებამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღით ადრე მიმწოდებელი წერილობით ატყობინებს შემსყიდველს სამუშაოთა დასრულების შესახებ და მიუთითებს თავისი წარმომადგენლის ვინაობას, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს შემყიდველის მიერ განსაზღვრულ სამუშაოთა მიმღები კომისიის საქმიანობაში.

5.6.3. ხელშეკრულების 5.5.2. პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველი განსაზღვრავს სამუშაოთა მიმღებ კომისიას, რომელიც უზრუნველყოფს მიწოდებული სამუშაოს საბოლოო მიღებას

5.6.4. სამუშაოს მიმღები კომისია ამოწმებს სამუშაოთა მოცულობებს და ობიექტის დასრულების თაობაზე ხელისმოწერებით ადასტურებს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს.

5.7. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, სიტყვიერი და/ან წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა დაწუნების მიზეზის მითითებით.

5.8. სამუშაოს მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.9. შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ღირებულების განსაზღვრის მიზნით, სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით წარმოადგინოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტებული ექსპერტის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მე-5 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2 შესრულებულ სამუშაოებზე ანაზღაურება მოხდება არაუმეტეს ორ ეტაპად კერძოდ შესრულებული სამუშაოების ღირებულების 80%-ის ანაზღაურება მოხდება მიღება ჩაბარების აქტისა და ინსპექტირების ჯგუფის აქტის საფუძველზე, ხოლო დარჩენილი 20 %-ის ანაზღაურება მოხდება ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

6.3 წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი

6.3.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში დასაშვებია წინასწარი ანგარიშსწორება სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 40% -ის ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ შესაბამის თანხაზე წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე (თეთრ სიაში შეყვანილ მიმწოდებლებზე გარანტიის ოდენობა ნახევრდება), რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6.3.2 წინასწარი ანგარიშსწორება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმწოდებელთან განხორციელდება მის მიერ შესაბამის თანხაზე გაცემული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

6.3.3 სამუშაოთა შესრულების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინასწარ ანგარიშსწორებაზე მიმწოდებლის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო (ასეთის არსებობისას)

6.3.4 მიმწოდებელს საავანსო თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაექვითება ანგარიშწორების ყოველ ეტაპზე ფაქტოურად შესრულებული სამუშაოს იმ პროცენტის ოდენობით რამდენ პროცენტიანიცაა საბანკო (საავანსო) გარანტია.

6.3.4 საავანსო თანხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრული დაქვითვა მოხდება (იმ შემთხვევაში თუ კიდევ დასაქვითია თანხა) საბოლოო მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებისას.

7.მხარეთა ვალდებულებები

7,1მიმწოდებელი ვალდებულია

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს" სამუშაო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების განუხრელი დაცვით.

7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, შემყიდველის მომართვიდან არსებული ხარვეზის ან/და ნაკლოვანების აღმოფხვრისთვის საჭირო გონივრულ ვადაში.

7.1.3. დროულად განიხილოს „შემსყიდვლის" მხრიდან დასმული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.4. გაავრცელოს შესრულებულ სამუშაოებზე გარანტია ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. გამოყოფილი სახსრების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს„ მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მხრიდან დასმული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული მომსახურების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი.

8.2.2.განიხილოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

8.2.3.მისცეს მიმწოდებელს მითითებები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს- მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი, ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სამუშაოს მიწოდებისთვის საჭირო საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ ,რ ომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის(შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2.1. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს სახელშეკრულებო ღირებულების 0,02% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 13.2.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 0,06 პროცენტს და მხარეები ვერ შეთანხმდებიან სამუშაოს შესრულების ვადის გაზრდაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით განსაზღვრულ ვადაში მიმართოს საბანკო გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტი)საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდა. 13.2.3.ხელშეკრულების 13.2.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში მიმწოდებელი ასევე ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულების 13.2.1.პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

13.2.4. პირგასამტეხლოს დარიცხვა ან გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

13.3.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს- მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით.

13.3.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

13.3.3. ხელშეკრულების პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და(არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.

13.4.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე _ საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის (ან 10%)-ის ოდენობით.

13.4.2 უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, ან სსიპ ,,საქარველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური"-ს მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

13.4.3 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

13.4.4 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედების ვადა 2 თვით აღემატება ხელშეკრულების შესრულების ვადას

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 5 გვერდზე, სამ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', ხოლო ორი ,,შემსყიდველთან''

16.3 ხელშეკრულებას თან ერთვის და მისი განუყოფელი ნაწილია შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

16.4 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და ხელშეკრულების მოქმედების ვადა 1 თვით აღემატება ხელშეკრულების შესრულების ვადას.

17. მხარეტა რეკვიზიტები

შემსყიდველი ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა მისამართი: კუდიგორის ქ.N1 ს/კ 241578574	მიმწოდებელი შ.პ.ს. „სერპანტინი" მის: ქ. თელავი ფალიაშვილის ქ. #27 ბანკის კოდი: TEBAGE22 ა/ნ GE40KS0000000360204165 ს/კ 231165529

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ი.მზექალაშვილი

შ.პ.ს. „სერპანტინი"-ს დირექტორი

ზ. ფეიქრიშვილი

ტერაბანკი
terabank

24 MAY 2017
13-2524

24 მაისი 2017 წელი

ქ. თბილისი, საქართველო

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია No. KSB.0004008.001-038

გარანტი: სს "ტერაბანკი"
გარანტის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი 0103, ქეთევან წამებულის გამზ. 3.
გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204546045
პრინციპალი: შპს საგზაო სამშენებლო - სარემონტო კომპანია „სერპანტინი"
პრინციპალის იურიდიული მისამართი: საქართველო, თელავი, ფალიაშვილის ქ., N 27
პრინციპალის პირადი ნომერი: 231165529
ბენეფიციარი: ყვარელის მუნიციპალიტეტი
ბენეფიციარის იურიდიული მისამართი: საქართველო, ყვარელი, კუდიგორის ქ. N 1
ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო ნომერი: 241578574
საგარანტიო თანხა: 10,385 (ათი ათას სამასოთხმოცდახუთი) ლარი
საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა: 2017 წლის 24 მაისიდან 2017 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ პრინციპალმა იკისრა ვალდებულება საბანკო გარანტიის წარდგენაზე მასსა და ბენეფიციარს შორის, ქ. ყვარელში დემეტრე თავდადებულის ქუჩის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვაზე (ელექტრონული ტენდერის #NAT170003474) ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, რათა ასეთი გარანტიის საფუძველზე განხორციელდეს აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა ამავე გარანტიით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში;
ამგვარად, გარანტი აცხადებს თანხმობას პრინციპალის სახელზე ამ გარანტიის გაცემაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და პირობებით, სს "ტერაბანკი" კისრულობს უპირობო და გამოუთხოვად ვალდებულებას, წინამდებარე საბანკო გარანტიის წერილის პირობების გათვალისწინებით, ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში გადაუხადოს ბენეფიციარს ამ უკანასკნელის მიერ წერილობითი ფორმით მოთხოვნილი ნებისმიერი თანხა ან თანხმები, მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე გარანტიით გათვალისწინებული საგარანტიო თანხისა, ბენეფიციარის მხრიდან მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების გარეშე.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა შესაბამისი თანხის გადახდაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს გარანტიის მოქმედების ვადაში, სს „ტერაბანკი"-ს სათავო ოფისის კანცელარიის განყოფილებაში თბილისის დროით (LTC/GMT +04:00 hours) 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი 0103, ქეთევან წამებულის გამზ. №3.

ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ წერილობით მოთხოვნაში ფულადი თანხის გადახდაზე, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს ბენეფიციარის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა, მითითებული უნდა იყოს მოთხოვნილი თანხის კონკრეტული მოცულობა და ის გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარდგენის საფუძველს. აღნიშნულ მოთხოვნის წერილს თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:

- ✓ წინამდებარე საბანკო გარანტიის ასლი;
- ✓ მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთის ასლი;

წინამდებარე საბანკო გარანტია (საგარანტიო თანხა) ავტომატურად მცირდება, ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გარანტის მიერ ამ საბანკო გარანტიის მოხედვით ბენეფიციარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების პროპორციულად.

წინამდებარე საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება

- ✓ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვით;
- ✓ გარანტის მიერ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ბენეფიციარისთვის სრულად გადახდით;
- ✓ ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობითი უარის თქმით ან/და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებით;

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე გარანტიაზე ვრცელდება როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოქმედება, ასევე საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე (პუბლიკაცია #758).
საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კორპორატიული მომსახურების განყოფილების უფროსი
ანა ნიკოლაძე

საკრედიტო ადმინისტრირების განყოფილების უფროსი
ნატო ბადაგაძე

ტერაბანკი
საქართველო, თბილისი,

terabank
3, Tsminda Ketevan Dedophali Ave.